საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 09 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №183/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- და -- -- 2018 წლის 17 აპრილის №-- მომართვის და -- -- 2018 წლის 03 ივლისის №-- -- -- საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ოქტომბრის №183/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. -- -- და -- -- დამოუკიდებელი ინსპექტორისადმი მომართვაში საუბარია -- -- მხრიდან ქალი -- მიმართ კრიტიკის გამოხატვაზე არაეთიკური და სტერეოტიპებით განპირობებული შინაარსით. კერძოდ, მომართვაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფაქტებზე:

-- --, -- -- მიმართ განაცხადეს, რომ იგი იტყუებოდა, მასთან საუბარი და მოსმენა არ შეიძლებოდა, რაც დასრულდა -- -- მიერ -- -- მიმართ გაკეთებული მიმართვით, რომ -- -- შესაძლოა მართავდეს მისი მეუღლე.

მომართვაში ნათქვამია, რომ -- -- მიერ -- -- გამოხატული გენდერული დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები, ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს ქალებისთვის. მტრული სამუშაო გარემოს შექმნა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მიმართვები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით წარმოადგენს გენდერული შევიწროების ფორმას. იგი ზღუდავს ქალთა ეფექტურ მონაწილეობას სამუშაო ადგილებზე, წარმართავს რა პროცესს დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მიდგომებით.

-- მოსაზრებით, სასამართლო კორპუსის წარმომადგენელთა მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის შემცველი ქცევის და დამოკიდებულების სისტემატიური გამოვლენა საჭიროებს ინდივიდუალურ შესწავლას და ადეკვატურ რეაგირებას.

1.2. 2018 წლის -- ტელეკომპანია -- -- გასულ სიუჟეტში, -- -- და -- -- წარმომადგენელი დამოუკიდებელი ინსპექტორს მოუწოდებენ -- -- გენდერული შევიწროების შემთხვევების შესწავლისკენ, კერძოდ, -- -- და -- -- შორის მომხდარ ინციდენტზე.

1.3. -- -- მითითებას აკეთებს -- -- 2018 წლის -- განცხადებაზე, როდესაც 30-ზე მეტი ორგანიზაციის მიერ გამოითქვა შეშფოთება -- -- სხდომებზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემცველი გამონათქვამების გახშირებისა და გენდერული უთანასწორობის ატმოსფეროს გაძლიერების გამო.

-- -- თქმით, საკითხი ეხება 2018 წლის -- -- მიერ მის მიმართ განცხადებას, რომ თითქოს იგი იტყუებოდა და რომ მასთან საუბარი და მისი მოსმენა არ შეიძლებოდა. იგი აღნიშნულთან მიმართებაში უთითებს „სამოსამართლეო ეთიკის წესები"-ს მე-6 მუხლის დარღვევაზე - „მოსამართლე საჯაროდ არ უნდა გამოხატავდეს უარყოფით აზრს ან შეხედულებას სხვა მოსამართლის და კოლეგის პროფესიონალიზმსა და პირად თვისებებზე".

-- -- აგრეთვე მოყვანილია ამონარიდები -- -- მიერ 2018 წლის -- გაკეთებული განცხადებებიდან, კერძოდ:

- შეგახსენებთ, რომ -- -- არის ჩვეულებრივი ის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ორგანიზაციას --. გახსოვთ ყველას ხო ეს ასეა?! და მაშინ ჰქონდა მას და რამოდენიმე დამფუძნებელ წევრს მიზანი, რომ -- -- და ა.შ. აი ეს სამარცხვინო ლოზუნგები რომ ჰქონდა მას ასე ვთქვათ დამფუძნებელ წევრს, ამიტომაც დაიშალა ეს ორგანიზაცია და არც ერთი მოსამართლე არ დარჩა...;
- ეხლა რაც შეეხება ტყუილებს ხო?! აი ყველა განცხადებაა ტყუილი, ყველა განცხადება, სადაც ახსენებს -- --, რომ რაღაც შეთქმულებაა, კლანია, ჯგუფი მართავს სასამართლოს და ეს ჯგუფი იმართება და ა.შ. ძალადობენ მოსამართლეებზე, ყველა ეს განცხადება არის მტკნარი სიცრუე, ტყუილი და რატომ?! მეტის შნო და ასე ვთქვათ მეტის უნარი ალბათ არ აქვს ამ ადამიანს, ვინაიდან რამდენი ხანია უკვე -- და რეალური რაიმე საკითხი არ გამოუტანია. რამოდენიმეჯერ ერთი და იგივე გამოიტანა და ვუთხარით: კარგი რა, ნუღარ გამოიტან ერთი და იგივეს...;
- აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ აი წარმოიდგინეთ დღეს უკვე მეორედ ხო, თუ მესამედ გამოიტანა ეს საკითხი. კი არ გამოიტანა ყოველ შემთხვევაში ინტერვიუ მისცა და -- თქვა: აღმოვაჩინეო მკვდარი სული. თითქოს ვიღაც ხელფასს უხდიდა, რაღაცა ზიანი მიაყენა თითქოს იმან მკვდარი რომ აღმოჩნდა და თითქოს რაღაც ხდება... სასაცილოა. მინდა წინასწარ ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ, ვინაიდან აი ასეთი დემაგოგიური განცხადებები აქვს ამ --, რომელიც უკვე რამდენი ხანია -- ვხედავთ ხო?! პოპულისტი, არაკომპეტენტური..."

-- -- მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს თუ რამდენად უგულებელყოფს მოსამართლე -- -- სამოსამართლო ეთიკის წესებს. შესაბამისად, მისი ქცევა არ არის მიმართული საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლოს ავტორიტეტის განმტკიცებისკენ.

-- -- აგრეთვე ითხოვს რეაგირება მოხდეს -- -- და -- -- №-- ანგარიშზე, სადაც აღნიშნულია, რომ -- -- განსხვავებული აზრი იდევნება და -- -- ხშირად მოუსმენია ხმამაღლა საუბრისთვის, პერსონალური ხასიათის არაეთიკური ბრალდებები და აგრესიული განცხადებები, რასაც არაფერი ჰქონდა საერთო სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საგნობრივ, არგუმენტირებულ დისკუსიასთან.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

წარმოდგენილ მითითებული საკითხების საფუძვლიანი და სრულყოფილი შესწავლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა -- -- 2018 წლის -- და -- -- ამსახველი ჩანაწერები.

2.1. ამონაწერი -- -- 2018 წლის -- --

„- -- -- - არანაირი ცუდი კონტექსტით არ ვამბობ, უბრალოდ მინდა, რომ სიტუაციაში გავერკვე იმიტომ, რომ მე მიწევს ჟურნალისტებთან ურთიერთობა და ეხლა გავედი და მეუბნებიან 12 მილიონ ლარს ითხოვთ კიდე, და ერთი და მეორეო. მერე რომ დავაპირე სიტუაციაში გარკვევა აღმოჩნდა, რომ თურმე -- -- მიუწოდებია ეს ინფორმაცია, რომ ჩვენ თურმე კიდე 12 მილიონს ვითხოვთ თუ ვითხოვდით, თუ არ ვიცი, ვერ გავერკვიე, საიდან მოვიდა ეს 12 მილიონი, მაგრამ რავიცი, იქნებ ჩამოვყალიბდეთ,

ვითხოვთ თუ არა 12 მილიონს! მოვითხოვოთ? ერთი ის იყო დღეს, დღის წესრიგი? თუ არა ძალიან გაოგნებული დავრჩი სიმართლე გითხრათ, ვერ ვუპასუხე ვერაფერი, თავიდან სანამ გავერკვეოდი რაში იყო საქმე, ანუ ისეთი კითხვები დამისვეს, რომ ვერ მივხვდი რას მეკითხებოდნენ. მერე რომ მითხრეს და ამიხსნეს, რომ საიდან იყო ეს ინფორმაცია, საიდან მოდიოდა, მერე კი ბატონო, გავერკვიე.

- -- -- - დღის წესრიგში შეტანილი არ არის, ამიტომ თუ გნებავთ საკითხების ამოწურვის შემდგომ გიპასუხებთ.

- -- -- - თუ გნებავთ სულ ნუ მიპასუხებთ, უბრალოდ რამდენად სწორია, საკითხის ინიციატორი თავმჯდომარე იყო, იქნებ თქვენც გაქვთ -- -- ეს შეკითხვა, იმიტომ რომ ჩემთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი და ის თუ რა სჯერა საზოგადოებას! დღის წესრიგში იყო და დღეს ვიმსჯელეთ ამაზე. ჩემი შეკითხვა არ იყო ალბათ და ამაზე ამბობს, რომ ვერ გავთვალე, რომ მოიტყუებოდა -- --.

- -- -- - რადგან ესეთი დამოკიდებულებაა გიპასუხებთ. დიახ თქვენ წინა კვირას ამბობდით, რომ დავამატებინოთ თანხა სახელმწიფოს და -- -- გახსნისას ამაზე ისაუბრა. -- გახსნისას -- -- ამაზე ისაუბრა, რომ ფინანსთა მინისტრისგან ამაზე მიიღო უარი, თანხის დამატებაზე, ვიდრე დღეს -- დაიწყებოდა ჟურნალისტებმა დამისვეს ეს შეკითხვა, დიახ მე ვთქვი ეს, რომ თქვენ უმრავლესობა -- -- მიიჩნევდით მიზანშეწონილად, რომ მოგეთხოვათ დამატებითი თანხები, იმისათვის, რომ აშენებულიყო უფრო მასშტაბური შენობა, სადაც განთავსდებოდა... დღესაც -- -- როდესაც გახსნა -- თქვა, რომ 10-12 მილიონის დამატებას მოითხოვდა, გასულ კვირასაც, როდესაც საერთო სასამართლოების დეპარტამენტის წარმომადგენელს აქ ჩვენ ვკითხეთ თუ რა თანხების დამატება იქნებოდა საჭირო, რომ სამივე კოლეგიისთვის ერთი დიდი მასშტაბური შენობა აშენებულიყო... დიახ აქ თქვეს ციფრი, სამწუხაროდ ეს ციფრები უნდა მოგესმინათ, იქამდე ვიდრე მოითხოვდით თანხების დამატებას... სამწუხაროა ეს თქვენთვის. ფინანსთა მინისტრთან რაზე გქონდათ საუბარი... თქვენ აქ დააყენეთ საკითხი, რომ ჯობდა თანხები დაემატებინა სახელმწიფოს... სახელმწიფოს დაემატებინა თანხები...

- -- -- - 12 მილიონი დაამატეთ მეთქი?

- -- -- - 12 მილიონი იყო ის რაც უნდა დაემატებინა ...

- -- -- - 12 მილიონი იყო დეპარტამენტის ვარაუდი...

- -- -- - დიახ თქვენ ითხოვდით, რომ... ვარაუდი, დიახ...

. . . . . .

- -- -- - თქვენ ხართ სხვანაირ გარჩევებს მიჩვეული -- -- და თქვენი ვიდეოები ნანახი გვაქვს, როგორ იქცევით საზოგადოებაში, ნანახი გვაქვს და ვიცით და... ნანახი გვაქვს... ნახეთ, იუთუბზე აჭრელებულია, ყველაფერი დევს... დიახ, სადაც გამოძიება მიმდინარეობს იმ საქმეზე.

- -- -- - ეხლა ამასთან საუბარი საერთოდ, მგონი საერთოდ არ შეიძლება

- -- -- - -- -- ძალიან გთხოვთ რა, ნაცვალსახელებით ესაუბრეთ ერთმანეთს.

- -- -- - -- შეურაცხყოფას აყენებს, მთელ სასამართლო კორპუსს შეურაცხყოფას აყენებს და უნდა ვიდგე და ვუსმინო... როგორ შეიძლება? ...

- -- -- - არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში თქვენზე მეტს აკეთებდნენ ქვეყნისთვის, ვიდრე თქვენ აკეთებთ, თქვენ როგორც მოსამართლე, -- --, და თუნდაც -- --, რომ მოგიწოდებენ გადადგომისთვის და გამოძიებაში ხელის შეშლისთვის, თქვენ უნდა გრცხვენოდეთ და აქ გამოდიხართ და რაღაც კომენტარებს მიკეთებთ.

- -- -- - რისი უნდა მრცხვენოდეს, რისი...?

- -- -- - არასამათავრობო ორგანიზაციებს თქვენზე მეტი აქვთ გაკეთებული ამ ორგანიზაციებს დემოკრატიისთვის ამ ქვეყანაში, ვიდრე თქვენ, პირადად თქვენ!... და უნდა გენახათ...

- -- -- - მეც მომეცით საშუალება რაღაცა ვთქვა... შეიძლება? აი მე მაგალითად, მაქვს ეჭვი, ასეთი ეჭვი მაქვს, როგორც -- ამას წინათ თქვა, რომ ის არისო, მართავსო, ფეისბუქზე დადო პოსტი, რომ თურმე 200-ზე მეტ მოსამართლეს ვიღაცა მართავს... 300-მდე... წარმოიდგინეთ რა ის არის, რომ მის აზრებს ვერ გათვლიო... ხოდა მე მაგალითად ესეთი ეჭვი მაქვს, რომ -- -- მაგალითად მართავს... როგორ ჰგონია -- --, რომ მე რომ ვთქვა, გავიდე ეხლა ჟურნალისტებთან, რომ -- -- მართავს -- -- ან -- ან --, ვიქნები მართალი? -- --?

- -- -- - ჩემი -- ხსენება აქ ნორმალურად მიგაჩნიათ?
- -- -- - თქვენ -- ხსენება ასე დაუსაბუთებლად...
- -- -- - არ გრცხვენიათ?...
- -- -- - თქვენ გრცხვენოდეთ კაცო... 250-მდე მოსამართლეს თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ... მარიონეტები დაუძახეთ თქვენ... და მე უნდა მრცხვენოდეს? თქვენ 250 მოსამართლეს დაუძახეთ მარიონეტი... ოჯახს არ შეეხეთ ეხლა?... ხოდა მეც ესეთი ეჭვი მაქვს... მართალი ვიქნები?... აი ესეთი ჭორი რო გავავრცელო მართალი ვიქნები? -- --?... რატომ გეცინებათ?... შეურაცხყოფას რაც ეხება, თქვენ, პარასკევს მიაყენეთ უდიდესი შეურაცხყოფა, ყველა მოსამართლე, აი ეხლა მისმენენ მე, ყველა მოსამართლე ერთხმად ამბობენ, რომ ამ -- შეურაცხყოფა მოგვაყენაო, ყველა... და ეს საბჭოზე თქვითო და აგერ ვიძახი, რომ თქვენ მიაყენეთ შეურაცხყოფა 250-ზე მეტ მოსამართლეს... და არა გრცხვენიათ... თქვენ კიდე მე მეუბნებით, მე მიბრუნებთ, რომ არა გრცხვენიაო? მე მეუბნებით? სირცხვილია!
- -- -- - -- -- ეს თუ არ არის დრამატული მონოლოგი, მაშინ რო დაასრულებთ გამოსვლას, თქვით რომ დავასრულეო, რომ ყველამ სხვამ გავაგრძელოთ. თუ არ არის ერთი ადამიანის სპექტაკლი.
- -- -- - ...რა შუაშია ოჯახი?! აგერ მის ოჯახს შეეხო (-- -- შესახებ).“

2.2. ამონაწერი -- -- 2018 წლის -- --- -- -- - „...-- -- გეტყვით, რომ თქვენს მიერ მომზადებულ ინფორმაციაში, გარდაცვლილი მოსამართლეები ეწერნენ გასულ კვირას და მე სხვათა შორის დავამატებ
- -- -- - ჩემი არ იყო ჯერ ეს ერთი... რა მაგარი აღმოჩენა გააკეთა...
- -- -- - ორი დღის წინ კიდევ დამიკავშირდა ერთი ადამიანი...
- -- -- - ჩემი იყო -- -- ეგ ინფორმაცია? ჩემი მომზადებული იყო? ტყუილს ხომ ამბობთ, ჩემი მომზადებული იყო? ელემენტარულ ტყუილს ხომ ამბობთ ეხლა. აი ამ წუთას ხომ ტყუილს ამბობთ.
- -- -- - აპარატის მომზადებული იყო ალბათ, არვიცი... დავასრულო თუ შეიძლება. ორი დღის წინ დამიკავშირდა კიდევ ერთი ყოფილი მოსამართლის ოჯახის წევრი, მეორე ადამიანი აღმოჩნდა, რომ არის სიაში გარდაცვლილი და ამიტომ ეს მოქმედებს ბუნებრივია ჩვენს საქმიანობაზე და კეთილი ინებეთ და...“

2.3. ამონაწერი -- -- 2018 წლის -- --
- -- -- - ...მე საერთოდ არ ვაპირებდი ამ -- კიდევ ერთხელ ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარს, ყოველ შემთხვევაში ამ ფორმატში, სამუშაო შეხვედრაზე ვაპირებდი მაგრამ რომ არ მისცემოდა ის ხასიათი, რომ თითქოს -- -- განცხადებებს ვარჩევთ -- და ვაკრიტიკებთ, სწორედ ამიტომ. ამიტომ ბოდიში ეხლა ამ შემთხვევაში საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, იმიტომ რომ დროს ვაკარგვინებ, მაგრამ ძალიან კარგია, ეხლა აქ გვესწრებიან ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და როგორღაც ეტყობა ჩემი გაკეთებული განმარტება მაინც, დაჟინებით, -- -- მხრიდან არ არის სურვილი რომ იქნას აღქმული სწორად. -- -- არ ესწრებოდა ამ საკითხის განხილვას, ამიტომ მოსამართლეთა რეზერვი არ არის -- -- ეს, მე არ ვიცი მოისმინეთ თუ არა ჩემი განმარტება ამასთან დაკავშირებით. პირველი - ვითარება იყო როგორი და მე ძალიან ვთხოვ რომ ჟურნალისტებმა კარგად გაიგონ ის რაც მოხდა რეალურად, იმიტომ რომ აბსოლუტურად სხვა კონტექსტით გაშუქდა ბევრი საინფორმაციო საშუალებით, ვითარება იყო როგორი. ეს არ არის მოსამართლეთა --, ეს არის მოსამართლეობის -- --, მართალია თვითონ ამ სტრატეგიაში -- ამ ფორმულირებით ჩადებამ თითქოს ერთი შეხედვით კითხვის ნიშნები წარმოიშვა, მაგრამ როცა არსებობს ბუნდოვანება სამართალში იყენებენ ლოგიკურ და ისტორიულ მეთოდს. ისტორიული მეთოდი ნიშნავს იმას, რომ გავიგოთ რა იყო წინაპირობა ამის შექმნისა. მე დავუკავშირდი ჩემი თანაშემწის მეშვეობით -- იმ --, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით. ლოგიკური ინტერესიც აქედან გამომდინარე არის ის, რომ -- მონაცემთა ბაზა, სხვა სიტყვებით ამაზე მარტივად ვერ ვხსნი, უნდა ჰქონდეს რეესტრი. ეს არის დაახლოებით იგივე ფორმატი დღეს საგამოცდო ცენტრმა აღრიცხოს ვინ შეიძლება ეროვნულ გამოცდებში მიიღოს მონაწილეობა. ვინ გახდება ავტომატურად სტუდენტი კი არა, ვინ შეიძლება გამოცდებში მიიღოს მონაწილეობა. ამას ემსახურებოდა სწორედ მოსამართლეების -- -- შედგენა. როცა ეს განვიხილეთ და მედიაც უყურებდა და არასამთავრობო ორგანიზაციებიც ესწრებოდნენ, რამდენიმე წარმომადგენელი, მაშინ ეს კითხვა არ დასმულა იმიტომ რომ რეალურად აქ პრობლემა არაფერი იყო.

მაგრამ, -- --, -- მისცა ინტერვიუ, გაშუქდა ეს აბსოლუტურად არასწორად, აქვე აღვნიშნავ, რომ მე ჟურნალ --, ალბათ საქმის კურსში ხართ -- --, დავუკავშირდი, შემპირდნენ რომ საპასუხო წერილს გამომიქვეყნებდნენ, მაგრამ რატომღაც არ გამომიქვეყნეს. ეს არის ელემენტარული, როდესაც ვრცელდება ინფორმაცია საპასუხო წერილიც უნდა გამოქვეყნდეს ამაზე, თუ თვითონ არ გთხოვენ მინიმუმ ჩემი წერილი მაინც უნდა გამოქვეყნებულიყო. თქვენ ალბათ იტყვით, რომ...
- -- -- - კარგად ნახე?
- -- -- - კარგად ვნახე, მე როცა ვთხოვე მაშინ არ გამომიქვეყნეს. ეს ერთი.
- -- -- - დაწყნარდით -- --
- -- -- - ... დამცველები რომ გყავს...
- -- -- - ერთი წუთით, -- --, ერთი წუთით, -- --, დამასრულებინეთ, ჩემი დამცველი აქ არც ერთი არ არის, აქ არის --...
- -- -- - ... ყველა უყურებს ვინ გიცავთ...
- -- -- - დამასრულებინეთ. დამასრულებინეთ -- --.
- -- -- - ...
- -- -- - დაცვა რა შუაშია
- -- -- - ერთი წუთით, ერთი წუთი რა იქნებ დამასრულებინოთ რისი თქმა მინდა. თქვენ კი ცდილობთ ჩემს დისკრედიტაციას ძალიან დიდი ხანია, მაგრამ, არ არის პრობლემა
- -- -- - ... კორექტულად...
- -- -- - მე კორექტულად -- --?
- -- -- -... დავამთავროთ...
- -- -- - მე კორექტულად -- --? მე უნდა მრცხვენოდეს რამის?
- -- -- - ...
- -- -- - დამასრულებინეთ -- --. -- -- დამაცადეთ თუ შეიძლება.
- -- -- - ...
- -- -- - დამაცადეთ, ერთი წუთით. -- -- დამასრულებინეთ ძალიან გთხოვთ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მოსამართლეთა -- არ არის. თუ მე ახლა აქ ვიტყუები -- ხართ ჩემი ჩათვლით --. მითხარით სამართლებრივი საფუძველი რის გამოც --, თუნდაც მე, თუნდაც ნებისმიერს, თუნდაც თქვენ -- --, სამართლებრივი საფუძველი მითხარით რის გამოც შეგიძლიათ მოსამართლეობის -- --, რომ ვინაიდან ის იყო -- -- და იყო ყოფილი მოსამართლე, აქ ხომ მხოლოდ ფაქტი დაიწერა, რომ ის იყო მოსამართლე, აქ ხომ არ ყოფილა შეფასება. მაშინ კანონში უნდა იყოს ცვლილება, რომ -- --, რა სამართლებრივი საფუძველი არსებობს იმისა, რომ -- და არა მოსამართლეობაზე თავიდანვე -- --. სულ ერთია ვინ იქნება ეს. -- --, -- -- თუ ნებისმიერი სხვა. ამის სამართლებრივი საფუძველი არარსებობს. მე რომ ჩემი შეხედულებით, ან -- თავისი შეხედულებით -- --, მაგალითად -- --
- -- -- - ...
- -- -- - შეიძლება დავასრულო?
- -- -- - ... კარგით, კარგით -- ... გააგრძელეთ
- -- -- - სამართლებრივი საფუძველი ამისთვის არარსებობს. შესაბამისად ეს იყო არა შეფასება, არამედ ფაქტების მითითება ვინ იყო ყოფილი მოსამართლე ... გარდაცვლილებზე აპელირება, რომ თურმე გარდაცვლილი პირები შევიყვანეთ, აქ სწორედ იმაზეა საუბარი, რომ აპარატმა, მე აპარატს კი ვაბრალებ მაგრამ ფიზიკურად ამის გადამოწმება ვერ მოხდა და საკითხი გადაიდო ზუსტად იმიტომ, რომ დეტალურად ყველა პირი გავლილიყო და თქვენ ისე რომ არ დაელოდეთ იმას რომ საკითხი გავლილიყო ხან ტვიტერზე, ხან სოციალური ქსელით ავრცელებთ ცრუ ინფორმაციას. თქვენი მოსაზრება გაავრცელეთ, აზრი აბსოლუტურია, ფაქტებზეა აქ საუბარი, როცა მაღალი თანამდებობის პირი არასწორ ფაქტებს ავრცელებს
- -- -- - თუ შეიძლება
- -- -- - ძალიან მოკლედ ძალიან გთხოვთ იმიტომ რომ ვეღარ დავამთავრებთ საკითხის განხილვას
- -- -- - ერთი მაგალითი ვერ დამისახელა ვერავინ მე რა მოვიტყუე და თუ დამისახელებთ ამაზე გაგცემთ პასუხს. უკაცრავად, თუ შეიძლება დამასრულებინეთ. მე არ მოვიტყუები არც ერთ

ინფორმაციას, თუ მოვიტყუე მიპასუხეთ ამის შესახებ. მეორე, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, -- -- არ ვსაუბრობდით, აქ ვსაუბრობდით მაგალითებზე თუ რატომ არ არის -- მოდერნიზებული ტექნიკური თვალსაზრისით, მენეჯმენტის თვალსაზრისით, დიახ, ორი ადამიანი როდესაც არის -- გარდაცვლილი და ვიღაცეებისთვის აღმოჩნდა, რომ მკვდარი სულია გარდაცვლილი მოსამართლე, სამარცხვინოა ასეთი განცხადება პირდაპირ შეიძლება ვთქვა

- -- -- - ... კარგით ...

- -- -- - მკვდარი სული, ასე უწოდებს -- -- გარდაცვლილ მოსამართლეებს, დიახ ცოტა ხნის წინ ასე თქვა

- ...

- -- -- - დიახ ცოტა ხნის წინ ასე თქვა. ეს არის სირცხვილი. ხალხი გისმენენ და ყველამ გაიგო

- ...

- -- -- - ...

- -- -- - ერთი წუთით, დავასრულებ თუ შეიძლება. მე მგონი სხვას აცადეთ საუბარი, ჩემ შემთხვევაშიც იგივე ეთიკა გამოიყენეთ და იგივე მიდგომა საუბრის დაცდასთან დაკავშირებით და მერე მეორე, როდესაც ასეთი პროექტები გამოდის

- ...

- -- -- - ერთი წუთით, დავასრულებ თუ შეიძლება. როდესაც ასეთი პროექტები გამოდის და ინტერპრეტაცია ხდება სრულიად სხვაგვარად სტრატეგიის, ჩემთვის არის მიუღებელი. თუ იმ სტრატეგიაში საჭიროა ცვლილების განხორციელება ისე, რომ ის იყოს ეფექტიანი კი ბატონო, მე მიმაჩნია, რომ რეესტრების ჩანაწერები სტრატეგიაში არ არის და ასე არ აღმიქვამს ეს საკითხი და ნამდვილად ვერ აღვიქვამ ამას ისე როგორც თქვენ ამას ...

- -- -- - ...

- -- -- - დავასრულებ თუ შეიძლება. ხო დაგასრულებინეთ მონოლოგი, ეხლა თუ შეიძლება მე დავასრულებ ჩემს პასუხს. რეესტრები არ წერია სტრატეგიაში, სტრატეგიაში წერია საუკეთესო კადრების მოძიებისთვის სარეზერვო სიის შექმნა და თქვენ ეგ მიიჩნიეთ საუკეთესო კადრების მოძიებად რომ გარდაცვლილი ადამიანები შეგეყვანათ --, გაურკვეველი რეპუტაციის ადამიანები, რადგან ასე მიიჩნიეთ, კი ბატონო, ასე იყოს თქვენი პროექტი და მხარდაჭერა -- -- გაქვთ ბატონების, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილები და შეგიძლიათ კიდევ ერთხელ გამოიტანოთ. ჩემს მხარდაჭერას აი ამ პროექტზე რომელიც გამოიტანეთ ვერ მოიპოვებთ.

- -- -- - ერთი წუთით რა. არსებობს რაღაცა ზღვარი. ე.ი. გაურკვეველი წარსული მქონე მოსამართლეებს -- -- ...

- -- -- - დიახ ასეთები არიან -- და --

- -- -- - --? ... ბატონი -- -- ესეთია -- --? ერთი წუთით -- --, -- -- -- მაინტერესებს, ესეთია?

- -- -- - -- -- -- საზოგადოებაში არსებობს შთაბეჭდილება და მოსაზრება და ამასთან დაკავშირებით მაქვს მეც მოსაზრება, რომ ...

- -- -- - -- -- -- თქვენ ლობირებდით აქ

- -- -- - ვის ვლობირებდი, როგორ ლაპარაკობ, -- --? ... როგორ არ გრცხვენია. რას ლაპარაკობ მე ვის ვლობირებდი, არა გრცხვენია? ჩემს თანამშრომლებზე ვისთანაც ვმუშაობდი აცილება მივეცი და დარბაზიდან გავედი, რას მელაპარაკები? ...

- -- -- - ოთხი -- -- ვესწრებოდით ამ შეხვედრას და ამიტომ არ არის საჭირო ესეთი საუბარი.

2.4. ამონაწერი -- -- 2018 წლის -- --

- -- -- - სანამ მესამე საკითხზე გადავალთ, მე იმას გავაგრძელებ, იმიტომ რომ არ შეიძლება, მეც მახსენებს ეს ადამიანი და რაღაცა მინდა ვთქვა მეც. ნუ შემზღუდავთ ძალიან გთხოვთ -- --. თან წინადადებაც მექნება -- --, რომ ჩემი მოსაზრება კიდევ ერთხელ მინდა გაგიზიაროთ. . .

- -- -- - მე კომენტარი რაც მქონდა ეხებოდა დღის წესრიგს ...

- -- -- - ნუ მაწყვეტინებთ რა, -- -- ნუ მაწყვეტინებთ ... შემპირდა თავმჯდომარე, რომ დაასრულებს და მერე უპასუხეთო და ... თქვენ ჩემ გვარს რო ახსენებთ, მეც მაქვს უფლება ძალიან მოკლედ ... რატომ უნდა რომ შემზღუდოს ვერ გავიგე ... ვერ გამაჩუმებთ -- --... აქედან გამომდინარე, რომ მაქვს ჩემი ასეთი პოზიცია და ამ პოზიციას შეგახსენებთ ორი სიტყვით და მინდა ჩემი ასე ვთქვათ რეკომენდაცია -

- -- მიმართ, მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება. ანუ შეგახსენებთ, რომ -- -- არის ჩვეულებრივი ის ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ორგანიზაციას, ესეთი ორგანიზაცია იყო --, გახსოვთ ყველას, ხო ესეა, მაშინ ჰქონდათ თვითონ მას და რამოდენიმე დამფუძნებელ წევრს მიზანი -- --, გავყრითო ... ასე შემდეგ, ასე შემდეგ ... და აი ეს სამარცხვინო ლოზუნგები და დევიზები, რო ჰქონდათ მას და ესე ვთქვათ რამოდენიმე დამფუძნებელ წევრს ამიტომაც დაიშალა ეს ორგანიზაცია, არც ერთი მოსამართლე არ დარჩა. რამდენად არასწორედ მიუდგნენ, რამდენად უსამართლოდ, რამდენად არაკომპეტენტურად, რომ ესეთი ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დაფინანსებაც ჰქონდა და ა.შ. დაიშალა, ანუ არც ერთი მოსამართლე არ დარჩა ამ ასოციაციაში. ეხლა რაც შეეხება ტყუილებს ხო, წარმოიდგინეთ, ყველა განცხადებაა ტყუილი, ყველა განცხადება სადაც ახსენებს -- -- რაღაც შეთქმულებას, კლანია, ჯგუფია, მართავს სასამართლოს აი ეს ჯგუფი, იმართება და ასე ძალადობენ მოსამართლეებზე, ყველა ეს განცხადება არის მტკნარი სიცრუე, ტყუილი, და რატომ? იმიტომ, რომ მეტის შნო და მეტის ასე ვთქვათ უნარი ...
- -- -- - -- -- მოუწოდეთ, რომ ილაპარაკოს კორექტულად... ეს არ არის კორექტული შეფასებები ...
- -- -- - რამდენი წელია ასე ვთქვათ -- -- და არც ერთი განცხადება, არც ერთი რეალური რაიმე ასე ვთქვათ საკითხი არ გამოუტანია, რამოდენიმეჯერ ერთი და იგივე ორჯერ თუ სამჯერ გამოიტანა და უთხარით კარგი რა ნუღარ გამოიტან განმეორებით ერთი და იგივესო. ამის მერე ერთი და იგივე განცხადებები. კლანი, ერთი და იგივე განცხადება, თითქოს რაღაც იმართება, ჯგუფი მართავს სასამართლო სისტემას, ანუ ეს არის შეურაცხყოფა მოსამართლეებზე, ეს არის შეურაცხყოფა ასევე -- --, ჩემი შეურაცხყოფა, ასე ვფიქრობ და ასეც არის, აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ წარმოიდგინეთ, დღეს უკვე მეორედ თუ მესამედ გამოიტანა ეს საკითხი, კი არ გამოიტანა ინტერვიუ მისცა და აგერ არის, დღესაც თქვა, რომ აღმოვაჩინეო მკვდარი სული, თითქოს ვიღაც ხელფასს უხდიდა, რაღაცაზე ზიანი მიაყენა ... მკვდარი სული და თითქოსდა რაღაცა ხდება ... სასაცილოა, სასაცილოა ... მინდა ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ. ვინაიდან ასეთი დემაგოგიური განცხადებები აქვს ამ --, რომელსაც რამდენი ხანია ამ -- ვხედავთ, ხომ? პოპულისტური, არაკომპეტენტური...“

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 02 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- და -- -- 2018 წლის 17 აპრილის №-- მომართვის და -- -- 2018 წლის 03 ივლისის №-- საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები ვინაიდან სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელების მიღმა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტების, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესწავლის და მათზე ზედამხედველობს ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილია სასამართლო და სახალხო დამცველი. აღნიშნულთან მიმართებაში რაიმე საგამონაკლისო წესს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი ნორმები და მათ შორის დამოუკიდებელი ინსპექტორის მანდატი არ ითვალისწინებს. შესაბამისად, ასეთი უფლებამოსილების არარსებობის პირობებში, დამოუკიდებელი ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს დისკრიმინაციის ფაქტ(ებ)ი და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება დისციპლინური კუთხით.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური

გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორების მიერ დასახელებული საკითხები.

განსახილველი შემთხვევაში, ვინაიდან საჩივარი შეეხება -- -- მოსამართლეს, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ დადგენილ სტანდარტებზე -- -- წევრთა როლთან, უფლებამოსილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო დასკვნაში №7 აღნიშნავს, რომ (55-ე პუნქტი), როდესაც მედია (ან პოლიტიკოსები და მესამე მხარეები მედიის მეშვეობით) მოსამართლეს ან სასამართლოს აკრიტიკებს მართლმსაჯულების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მიზეზებით, მოსამართლემ, თმენის ვალდებულებიდან გამომდინარე, თავი უნდა შეიკავოს იგივე არხების გამოყენებით საპასუხო გამოსვლისგან. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებს უფლება აქვთ შესწორებები შეიტანონ პრესაში ასახულ მცდარ ინფორმაციაში, CCJE-ს რწმენით მიზანშეწონილია, რომ სასამართლოს ამ მხრივ მხარი დაუჭირონ სხვა ეროვნულმა სტრუქტურებმა, ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირებმა (მაგ. მოსამართლეთა საბჭო, ან მოსამართლეთა ასოციაცია) და დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინონ ასეთ კრიტიკასა და თავდასხმებზე.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №10 დასკვნის თანახმად, რომელიც უშუალოდ მართლმსაჯულების საბჭოების როლს შეეხება:
(8) მართლმსაჯულების საბჭოს მიზანია დაიცვას სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა არის სტრუქტურული მოთხოვნა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ხელმძღვანელობს კანონის უზენაესობით.
(82) CCJE მიიჩნევს, რომ, როდესაც მედია ან მედიის გამოყენებით პოლიტიკური ან სოციალური ფიგურები გამოწვევის წინაშე აყენებენ ან ახორციელებენ შეტევას მოსამართლეებსა ან სასამართლოებზე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩაბმულმა მოსამართლემ ან სასამართლომ თავი უნდა შეიკავონ იგივე არხებით რეაქციის გამომჟღავნებისგან, მართლმსაჯულების საბჭოს ან სასამართლო ორგანოს უნდა შეეძლოს და იყოს მზად, რომ სათანადო შემთხვევებში სწრაფად და ეფექტურად უპასუხოს ასეთ გამოწვევებსა და შეტევებს.
(83) მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება არა მხოლოდ გაავრცელოს მისი შეხედულებები საჯაროდ, არამედ აგრეთვე გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი საზოგადოების, პოლიტიკური ორგანოებისა და, სადაც სათანადოა, საზოგადოების წინაშე დაიცვას სასამართლო ინსტიტუციის ან/და მისი წევრების რეპუტაცია.

ამდენად, ზემოაღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე, -- -- მინიჭებული აქვთ მანდატი დაიცვან, თითოეული მოსამართლის და ზოგადად სასამართლოს სისტემის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ავტორიტეტი.

საქმეში წარმოდგენილი -- -- ამსახველი ჩანაწერების დეტალური ანალიზის შედეგად აღსანიშნავია, რომ ორივე -- მიმდინარეობდა დაძაბულ გარემოში, გამორჩეული იყო აქტიური დისკუსიით, რაც არაერთხელ სხვადასხვა პირებს შორის გადაიზარდა კამათში, კერძოდ, -- როგორც --, ისე -- -- მხრიდან ადგილი ჰქონდა ერთმანეთის პოზიციებისა და მოსაზრებების შეფასებისას ხმამაღალ ტონს და ხისტ

გამონათქვამებს, რისი ცალკე, კონტექსტის გარეშე, ფრაგმენტულად შეფასებაც გაართულებს ობიექტური ანალიზის გაკეთებას. ამდენად, მხოლოდ მოცემული სხდომების სრული ჩანაწერის მთლიანობაში შესწავლის შედეგად გახდება შესაძლებელი ობიექტური სურათის შექმნა და დისციპლინური კუთხით შესაბამისი შეფასებების გაკეთება.

-- -- 2018 წლის -- და -- -- შეიძლება გაკეთდეს ზემოთაღწერილი ეპიზოდების ზოგადი მიმოხილვა, კერძოდ:

2018 წლის --:
- -- -- დასვა კითხვა -- -- მისამართით, თუ რა თორმეტი მილიონის გამოყოფაზე ესაუბრა ჟურნალისტებს, რასთან დაკავშირებათაც დასმული კითხვა ინტერვიუს დროს მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც -- -- -- -- კითხვაზე არ გასცა კონკრეტული პასუხი, -- -- მის ამ ნათქვამს უწოდა ტყუილი. აღნიშნულმა კი გამოიწვია -- -- და -- -- შორის კამათის რეჟიმში გადასვლა, რაშიც ჩაერთვნენ -- სხვა -- - -- --, -- --, -- -- ხსენებული კამათის დროს, -- -- ახსენა სოციალური ქსელებით გავრცელებულ ვიდეოები, სადაც მისი თქმით, ჩანს თუ როგორ გარჩევებს არის მიჩვეული -- -- და როგორ იქცევა საზოგადოებაში, ამან გამოიწვია -- -- გაღიზიანება და აღნიშნული მიიჩნია -- -- შეურაცხყოფად. იქვე, -- -- მიერ აღინიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გაცილებით მეტს აკეთებენ ქვეყნისთვის ვიდრე -- -- ან -- --, რომელსაც მოუწოდებენ გადადგომისკენ და რისიც უნდა რცხვენოდეთ.

აღნიშნულს მოჰყვა -- -- რეპლიკა -- -- მიერ რამდენიმე დღის წინ გავრცელებულ მიმართვაზე, რაც, მისი თქმით, მთელი სასამართლო კორპუსის შეურაცხყოფა იყო, კერძოდ, საუბარი თითქოს 300-მდე მოსამართლეს მართავს ვიღაც და მოსამართლეებს უწოდებს მარიონეტებს. -- -- კითხვის ფორმით აღნიშნა, რომ იქნება მართალი თუ არა, რომ გავიდეს ჟურნალისტებთან, გაავრცელოს ასეთი ჭორი და თქვას, რომ -- -- მართავს მისი -- --, -- -- ან -- --, რასაც მოჰყვა ორმხრივი მწვავე რეაქციები, რაშიც ასევე ჩაერთო -- -- (დეტალურად იხ. დასკვნის 2.1. პუნქტი).

2018 წლის --:
2018 წლის -- -- საყურადღებოა ის, რომ მთელი -- მიმდინარეობისას რამდენჯერმე და არა მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადაიზარდა -- დისკუსია კამათის რეჟიმში და ხმამაღალ საუბარში. პირველ შემთხვევაში კამათი დაიწყო -- -- და -- -- შორის, როდესაც -- -- ტყუილი უწოდა -- -- განცხადებას იმის თაობაზე, რომ -- -- მიერ იყო მომზადებული -- --, სადაც აღმოჩნდნენ გარდაცვლილები (დეტალურად იხ. დასკვნის 2.2. პუნქტი).

მეორე შემთხვევაში, ზემოაღნიშნული სიების საკითხზე დაძაბულ რეჟიმში გაგრძელდა კამათი -- -- და -- -- შორის, რა დროსაც -- -- ბრალი დასდო არასწორი ფაქტების და ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში. კამათში ასევე ჩაერთნენ სხვა -- -- - -- --, -- --, -- -- და -- -- (დეტალურად იხ. დასკვნის 2.3. პუნქტი).

მას შემდეგ რაც -- -- კამათისას -- -- მიერ ზემოხსნებულ სიებში აღმოჩენილი გარდაცვლილი ადამიანების მკვდარ სულებად მოხსენიებას უწოდა სამარცხვინო, აღნიშნულს, -- -- მხრიდან მოჰყვა მწვავე რეაქცია, რა დროსაც მის განცხადებებს უწოდა დემაგოგიური, პოპულისტური და არაკომპეტენტური, ასევე მის მიერ გაკეთებული განცხადებებს უწოდა მტკნარი სიცრუე და შეფასებისას გამოიყენა სიტყვები „...მეტის შნო და უნარი...“ (დეტალურად იხ. დასკვნის 2.4. პუნქტი).

ორივე -- ზემოთმითითებული ეპიზოდების ანალიზით აშკარაა, რომ -- -- შორის როგორც დღის წესრიგში შეტანილ, ისე ერთმანეთს შორის დისკუსიისას წამოჭრილ საკითხებზე არსებობდა რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები, რაც სხვადასხვა ეპიზოდებში (მათ შორის, რაზეც საჩივრის ავტორები არ მიუთითებენ) არაერთხელ და არაერთი წევრის მხრიდან გადაიზარდა კამათში, ამასთან, აშკარა იყო, რომ სხდომების მიმდინარეობისას დაპირისპირებულ მხარეებს შორის არ გამოხატულა ნება დისკუსიის პროცესი წარმართულიყო შედარებით მშვიდ გარემოში, რაც საერთო

ჯამში, შეუძლებელს ხდის ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებებზე დაფუძნებით გამოიკვეთოს და დადასტურებულად ჩაითვალოს ინდივიდუალურად რომელიმე -- --, მათ შორის, -- -- განცხადებებში დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მომართვის/-- -- ავტორების მიერ გადმოცემული ფაქტები და დასახელებული კონტექსტი გარკვეულ შემთხვევებში არ არის იდენტური.

ამასთან, მომართვის/-- -- ავტორები მიუთითებენ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი. ამავე კანონით განსაზღვრულია ის ექსკლუზიური უფლებამოსილებები და პროცედურები, რითაც აღჭურვილია სახალხო დამცველი დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტებზე ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა, და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[9] განსაზღვრავს სასამართლოში სამართალწარმოების სპეციალურ წესს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[2] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა.

აღნიშნული საკითხის შესწავლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე თუ ვის გააჩნია შესაბამისი უფლებამოსილების მანდატი შეისწავლოს დისკრიმინაციის შესაძლო ჩადენის ფაქტები. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, მათ შორის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ჩადენის ფაქტებს, სწავლობს და მათზე ზედამხედველობას ახორციელებს სახალხო დამცველი, რომელსაც გააჩნია ამისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები. ანალოგიურად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელს განიხილავს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური თავით დადგენილი წესით. შესაბამისად, აშკარაა, რომ სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელების მიღმა, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ფაქტების შესწავლის და მათზე ზედამხვედლობის ექსკლუზიური უფლებამოსილებით აღჭურვილია სასამართლო და სახალხო დამცველი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტი მართალია დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახედ მიუთითებს მოსამართლის მიერ სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატულ დისკრიმინაციულ ქმედებაზე, თუმცა ყურადღებას

ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ასეთი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები (მოსამართლეები).

მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი მოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსამართლე -- -- დისკუსიაში მონაწილეობდა როგორც -- --. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები მეხუთე ღირებულებას წარმოადგენს თანასწორობა, რომლის თანახმადაც სასამართლოში სხდომის ყველა მხარესთან თანასწორი დამოკიდებულების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის. აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს სტერეოტიპულ მიდგომას და დისკრიმინაცია სქესის მიხედვით. ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, აკრძალვა დისკრიმინაციისა სქესის ნიშნით ეხება მოსამართლის ურთიერთობას სასამართლო პროცესის მხარეებთან, ადვოკატებთან, სასამართლოს თანამშრომლებთან, ასევე სასამართლოს თანამშრომლებისა და ადვოკატების ურთიერთობას სხვა პირებთან.[1]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლე -- -- მიერ -- -- ფუნქციების შესრულების დროს დისკუსიის ფორმატში გამოთქმული მოსაზრებები ვერ იქნება განხილული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან აღნიშნული დისკუსია მას არ ჰქონია პროცესის მონაწილეებთან და არ იყო დაკავშირებული სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

[1] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, გვერდი 173, §185 (ნანახია 09.09.2020)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 09 სექტემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 11 წევრთაგან 11 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №183/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი